ოქმი:**ო31. 3124123001**
თარიღი:**02/05/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N5

ქ. ლანჩხუთი

26. 04. 2024 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა რამდენიმე საკითხი და მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.

მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

2. ,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ (ს/კ 233731478) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

4. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით, განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 თებერვალი N5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო ფასის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი“-სთვის (ს/ნ 233732565) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სსიპ - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს გაწვევისა და რეკრუტირების სამეგრელო - ზემო სვანეთის და გურიის რეგიონული ცენტრის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების ლანჩხუთის მუნიციპალურ განყოფილებისათვის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

9. სხვადასხვა საკითხები

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.

მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა.

დღის წესრიგის პირველი საკითხი:,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების ზემოაღნიშნული დადგენილების ცვლილება განპირობებულია საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში შეტანილი ცვლილებით, რის საფუძველზეც გაიწერა მოთხოვნა, რომ მშენებლობის შეჩერების შესახებ მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას აღნიშნული მშენებლობის შეუჩერებლობის შემთხვევაში შესაძლო სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის N11 დადგენილების მე-3 მუხლით დამტკიცებული მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების ფორმა შესაბამისად საჭიროებს ზემოაღნიშნული ცვლილების ასახვას. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.
მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N6 (26.04.2024).

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია, მშენებლობის ნებართვის გაცემის დროს ხელმძღვანელობს ,, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ მე-XII თავისა და ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად. დადგენილებაში გაწერილია მშენებლობის ის სახეები, რომელზეც მუნიციპალიტეტი გასცემს მშენებლობის ნებართვას, ხოლო კანონში იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელიც მშენებლობის ნებართვის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს მშენებლობის ნებართვის მისაღებად. კანონში გაწერილი ზემოაღნიშნული ჩამონათვალიდან, ერთ-ერთ საბუთს წარმოადგენს -

სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის ოდენობის განსაზღვრის მიზნით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებით დამტკიცებული აქვს წესი - ,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ". აღნიშნულ წესში არ არის გაწერილი მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი დემონტაჟის სამშენებლო სამუშაოების გასაცემად. რის გამოც წესი საჭიროებს შესაბამისი ცვლილების ასახვას.

საკრებულოს წევრმა **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ ყოფილი ინტერნატის შენობის დემონტაჟი მიმდინარეობს უსაფრთხოების ყოველგვარი სტანდარტის დაცვის გარეშე, რაც გარკვეულ საფრთხეს უქმნის მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეებს და პედაგოგებს. მან მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ დაინტერესდეს შექმნილი მდგომარეობით. საკრებულოს წევრი საკითხის შესახებ ასევე, ესაუბრა მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსს, თენგიზ ხელაძეს, რომლის განცხადებით, გარკვეული ზომები მიღებულია, რასაც, **გიორგი გოგუაძის** აზრით, შედეგი არ მოჰყოლია.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი ელისო ჭიჭინაძე.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით გაიყიდა შენობის წინა ნაწილი, რომლის დემონტაჟი დასრულებულია და მერიის ზედამხედველობის სამსახურს სიტუაციის გარკვევა დაავალა .

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N19 (26.04.2024).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის" (ს/კ 233731478) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, 2024 წლის 10 აპრილის N31 წერილით (კანცელარიის N10/30241019-30 10.04.2024 წ.) მომართა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების" (ს/კ 233731478) დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ანა ჩხაიძემ, რომელმაც უზუფრუქტის ფორმით მოითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გადაცემა, კერძოდ ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქ. N60-ში მდებარე 441,10 კვ.მ. ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.06.51.020.01.511) და ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ 27.11.44.002) მეორე სართულზე არსებული სამი ოთახი - 154,356 კვ.მ. ფართი; 31,610 კვ.მ. ფართი და 45,240 კვ.მ.ფართი. მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა , რომ ზემოაღნიშნული უძრავი ქონება ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას" (ს/კ 233731478) გადაეცეს სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N20 (26.04.2024).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით, განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 თებერვალი N5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მისი განმარტებით, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი დუგლაძის, 2024 წლის 31 იანვრის N5/5046 მომართვის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფოსთვის გადაცემული ქონება - (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში მდებარე ელექტროგადამცემი ხაზი - 7700 მ. ხაზობრივი ნაგებობის წერტილოვანი ობიექტი (საყრდენი ბოძი) 156 ცალი (ს/კ 27.00.353)) რეალურ მონაცემზე ფაქტობრივად იყო ნაკლები, რამაც განაპირობა აღნიშნული განკარგულების ცვლილების პროექტის მომზადება.

სახელმწიფოს მიერ მოთხოვნილი ქონება, რეგისტრირებული მონაცემებით არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში მდებარე, ელექტროგადამცემი ხაზი - 7700 მ. ხაზობრივი ნაგებობის წერტილოვანი ობიექტი (საყრდენი ბოძი) 156 ცალი (ს/კ 27.00.353), ხოლო სამსახურის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო აზომვითი/აგეგმვითი ნახაზის მიხედვით, ასევე არის არსებული აღნიშნული ხაზოვანი ობიექტის შემადგენელი ნაწილი 1259 მ. ელექტრო გადამცემი ხაზი და 28 ცალი საყრდენი ბოძი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N21 (26.04.2024).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო ფასის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 06 ივლისის N004697023 დასკვნის საფუძველზე, შეფასებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, კერძოდ სატრანსპორტო საშუალება ავტომობილ SKODA OCTAVIA (სახელმწიფო ნომერი FF 535-FG, გამოშვების წელი 2006 წ) - 4500 ლარის ოდენობით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულმა აუქციონატორმა, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, ზემოაღნიშნული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავ ქონების პრივატიზების მიზნით, უზრუნველყო როგორც საწყისი, ასევე შემცირებული საპრივატიზაციო საფასურით ელექტრონული აუქციონების მოწყობა - თუმცა მათი განკარგვა არ განხორციელდა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, რომ ზემოაღნიშნულ მოძრავ ქონებაზე ისევ გამოცხადდეს განმეორებითი ელექტრონული აუქციონი და მუნიციპალური მოძრავი ქონების საწყისი საპრივატიზაციო საფასური შემცირდეს 75% - ით.

,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 თანახმად, თუ მუნიციპალიტეტის ქონების საფასური აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილებით, განმეორებით აუქციონზე 50%-მდე შემცირდა, თუმცა მუნიციპალიტეტის ქონება ამ საფასურადაც არ გაიყიდა, ამის შემდეგ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საწყისი საპრივატიზაციო საფასური შეიძლება

კიდევ შემცირდეს.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N22 (26.04.2024).

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი“-სთვის (ს/ნ 233732565) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას 2024 წლის 17 აპრილს N54 წერილით (კანცელარიის ნომერი N10/302410848-30 17.04.2024 წელი) მომართა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი“-ს (ს/ნ 233732565) დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ქალბატონმა მარინა კეიდიამ. წერილში მოთხოვნილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონებების: სოფელ სუფსაში მდებარე 3504 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (სუფსის საბავშვო ბაღი ს/კ 27.15.52.668), აგრეთვე, სოფელ ხაჯალიაში მდებარე 6500 კვ.მ. არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა - ნაგებობების (ხაჯალიის საბავშვო ბაღი ს/კ 27.14.50.005) და ქ. ლანჩხუთში ნინოშვილის ქ. N 37 -ში მდებარე შენობა - ნაგებობის (ს/კ 27.06.52.141.01.502) პირველ სართულზე არსებული ფართის: ოთახი N 34 – 6,75 კვ.მ. ფართის, აგრეთვე, იმავე შენობის მეორე სართულზე არსებული ფართების კერძოდ: ოთახი N 8 – 12,05 კვ.მ. ფართი, ოთახი N 9 – 3,07 კვ.მ. ფართი, ოთახი N 10 – 5,77 კვ.მ. ფართი, ოთახი N 18 – 6,3 კვ.მ. ფართი და ოთახი N 17 – 18,56 კვ.მ. ფართის უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემა მისი არსებობის ვადით.

მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრ“-ს (ს/ნ 233732565) გადაეცეს უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, მისი არსებობის ვადით, უზუფრუქტის ფორმით, ზემოთ აღნიშნული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებები.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N23 (26.04.2024).

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სსიპ - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს გაწვევისა და რეკრუტირების სამეგრელო - ზემო სვანეთის და გურიის რეგიონული ცენტრის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების ლანჩხუთის მუნიციპალურ განყოფილებისათვის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 აპრილის N 536 განკარგულებით, მუნიციპალიტეტებს ეთხოვათ საქართველოს თავდაცვის

სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს გაწვევისა და რეკრუტირების რეგიონული ცენტრების სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების მუნიციპალურ განყოფილებებს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 122^1 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, პირდაპირი განკარგვის წესით, მხარეთა შეთანხმებით არსებული ფორმით გადაეცეს ქონება 2026 წლის პირველ იანვრამდე და განთავსდნენ შესაბამის შენობებში.

მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა 2026 წლის 1 იანვრამდე, გადაეცეს სსიპ - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს გაწვევისა და რეკრუტირების სამეგრელო - ზემო სვანეთის და გურიის რეგიონული ცენტრის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების ლანჩხუთის მუნიციპალურ განყოფილებას უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით, მხარეთა შეთანხმებით არსებული ფორმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩა N 126 - ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ 27.06.51.005) მეორე სართულზე არსებული ფართები: ოთახი N 101 - ს/კ 27.06.51.005.01.101 – 35,70 კვ.მ; ოთახი N 102 - ს/კ 27.06.51.005.01.102 – 36,30 კვ.მ; ოთახი N 103 - ს/კ 27.06.51.005.01.103 – 17,60 კვ.მ; ოთახი N 104 - ს/კ 27.06.51.005.01.104 – 17,20 კვ.მ; ოთახი N 113 - ს/კ 27.06.51.005.01.113 – 17,20 კვ.მ.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N24 (26.04.2024).

დღის წესრიგის მერვე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტების თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულო, მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით ამტკიცებს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხას და პრივატიზების გეგმას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნით, შეფასებული (ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო) მუნიციპალური ქონება, შემდგომში განკარგვის მიზნით, აისახოს მუნიციპალიტეტის უძრავი და მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხებსა და გეგმებში. მერიის მიერ მომზადდა ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც წარმოდგენილია განსახილველად და დასამტკიცებლად. პროექტი, ასევე ითვალისწინებს აქამდე არსებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.

მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N25 (26.04.2024).

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** დასვა შემდეგი საკითხები:

-პაატა კუპრაძეს, რომლის შვილი არის შშმ პირი, სახლი აქვს დაზიანებული და ესაჭიროება დახმარება;

-პროექტირებულია თუ არა სოფლის პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული პრიორიტეტები და როდის დაიწყება განხორციელება;

-რა მდგომარეობაა მუნიციპალურ ტრანსპორტთან მიმართებაში.

- მოსაწესრიგებელია ხიდმაღალას სასაფლაოს მიმდებარე ქუჩა, სადაც უნდა მოეწყოს სანიაღვრე არხები. საკრებულოს წევრი დაინტერესდა, როდის დაიწყება ასფალტირება.

მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, სოფლის პროგრამებთან დაკავშირებით დაპროექტება დასრულებულია. ელოდებიან მთავრობის განკარგულებას, რომ გამოცხადდეს ტენდერები გამარტივებული ფორმით. ტრანსპორტის საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ ძალიან უნდოდათ, პირველი მაისისთვის მათ დაეწყო ფუნქციონირება, მაგრამ საქართველოს ბანკს ესაჭიროება გარკვეული პერიოდი, რათა ავტობუსებში დაამონტაჟოს კამერები და შესაბამისი აპარატურა, რაც შემოაქვს საზღვარგარეთიდან. ამის გათვალისწინებით, მათი მხრიდან არის დაპირება, რომ 10 მაისისთვის ეს პროცესი დასრულდება. შესაბამისად, მოხდება ავტობუსების ხაზზე გაშვება. ქუჩების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ პირველი ეტაპისთვის, თანხა მაქსიმალურად მიმართულია ქალაქის ქუჩების მოწესრიგებაზე. მეორე ეტაპისთვის ფინანსები მთლიანად მოხმარდება სოფლებს. ეს იქნება გარდამავალი პროექტები და მაქსიმალურად შეეცდებიან, დროულად მოხდეს სამუშაოების დაწყება.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ აცანის და აკეთის მოსახლეობას აქვს საყანე ფართობები ე.წ. ,,ლიმფაშარას" ტერიტორიაზე, სადაც დაზიანებულია გადასასვლელი ხიდი. გარდა ამისა, განაცხადა, რომ სოფლის პროგრამის ფარგლებში გარკვეული პროექტები ხორციელდება მოსახლეობის მხარდაჭერით და მონაწილეობით. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, რა მასალის მიწოდება ხდება კონკრეტულად ბეტონის გზის მოწესრიგებისას. მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, ასეთ სიტუაციაში აწვდიან ბეტონს თავისი არმატურით. გარდა ამისა, დაახლოებით ერთ თვეში ჩამოვა ტრაქტორები. შესაბამისად, საჭიროებიდან გამომდინარე, დაეხმარებიან მოსახლეობას გარკვეული სამუშაოების განხორციელებაში. სოფლის პროგრამებით გათვალისწინებულ ყველა პრიორიტეტზე დამატებით, გამოიყოფა ერთი იმდენი თანადაფინანსება. მხოლოდ, სუფსაში შეიცვალა პრიორიტეტი, რისი ფინანსური უზრუნველყოფა მოხდება მოგვიანებით.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარემ **კარლო კვიტაიშვილმა** აღნიშნა, რომ ინტენსიურად მიმდინარეობს ქალაქის ქუჩებზე ასფალტის საფარის დაგება. ასევე დაიწყო ბესიკის ქუჩის რეაბილიტაცია, რაც უდავოდ, მისასალმებელი ფაქტია. მან მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და მთლიანად გუნდს უსურვა წარმატებები და ქვეყანას შემდგომი განვითარება.

საკრებულოს წევრი **ელისო ჭიჭინაძე** დაინტერესდა შემდეგი საკითხებით:

-რა ინფორმაციას ფლობს მუნიციპალიტეტის მერი სამედიცინო ჰოლდინგის საქმიანობასთან დაკავშირებით, რადგან გარკვეულწილად შეაჩერეს სამუშაოები და მის სამაჟორიტარო ოლქში როდის დაიწყებენ ამბულატორიების მშენებლობას;

-რა სიტუაციაა ნაგვის ურნების დამატებასთან დაკავშირებით;

-ლესაში ავტობანის გადმოსასვლელი გზის მშენებლობასთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა გარკვეულ გაუგებრობას. საყანე ფართობებს ერთი მხრიდან ესაზღვრება მდინარე, მეორე მხრიდან-ავტობანი, რის გამოც მეპატრონეები ვერ ახერხებენ

ფართობებში შესვლას. საკრებულოს წევრი დაინტერესდა, ფლობს თუ არა ახალ ინფორმაციას მუნიციპალიტეტის მერი აღნიშნულთან დაკავშირებით;

-ეწერზე უმძიმეს საცხოვრებელ პირობებში ცხოვრობს ზაზა მეგრელაძის შეჭირვებული ოჯახი, რომლის შვილიშვილის, ნიკა გოდუაძის ხუთ შვილიანი ოჯახი ცხოვრობდა ქუთაისში და დაბრუნდა სოფელში, მაგრამ ამდენი სულის ერთ ჭერქვეშ ვერ ეტევა. ნიკა გოდუაძეს შემოტანილი აქვს განცხადება ქირავნობის პროგრამაში ჩართვის შესახებ. ასევე მისი თხოვნაა, ჩართონ პრემიერმინისტრის მიერ ინიციირებულ ახალ პროგრამაში, რომელიც ეხება სამი და მეტ შვილიანი უსახლ-კარო ოჯახებისთვის ბინის შეძენას და ითხოვს ერთჯერად დახმარებას, რათა ელემენტარულად მოაწესრიგოს მის მიერ მოძიებული სახლის ინფრასტრუქტურა, სადაც ქირავნობის პროგრამის ფარგლებში ოჯახი აპირებს გადასვლას საცოვრებლად;

-როდის დაიწყება სტადიონისკენ მიმავალი გზის მოწესრიგება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** დასმულ კითხვებსა და შენიშვნებზე გააკეთა შემდეგი სახის განმარტებები:
ქალაქის ყველა ის ქუჩა და მათ შორის, სტადიონის გზა, რომელიც არის ამ პროექტში და ასევე, წელს დასასრულებელ გარდამავალ პროექტებში, სავარაუდოდ, დასრულდება მიმდინარე წლის ივლისის თვის ბოლოსკენ. რაც შეეხება ნიკა გოდუაძის საკითხს, ქირავნობის პროგრამასთან დაკავშირებით, გაუწევენ დახმარებას. ასევე, თუკი სოციალურად დაუცველია და არის მრავალშვილიანი ოჯახი, შესაძლებელია განაცხადი გააკეთებინონ პრემიერმინისტრის მიერ ინიციირებულ ახალ პროგრამაში ჩართვის თაობაზე, რაც ითვალისწინებს სამი და მეტ შვილიანი უსახლ-კარრო ოჯახებისთვის ბინის შეძენას, მაგრამ აუცილებლად ჩაწერილი უნდა იყვნენ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, თუ არადა უნდა ჩაეწერონ ქალაქ ქუთაისში და მიმართონ შესაბამის სამსახურს.
სამედიცინო ჰოლდინგთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობდა, უბრალოდ, თანხების გამოყოფა შემდეგ მოხდა, მაგრამ ახლა ტენდერზე გადის რამდენიმე სოფელი როგორც მშენებლობის, ასევე, რეაბილიტაციის კუთხით. რაც შეეხება, ნაგვის ურნების დამატებას, ტენდერი გამოცხადებულია და როგორც კი დასრულდება, დაახლოებით ასი ცალი ურნა ჩამოვა მუნიციპალიტეტში და დაიდგმება მოწესრიგებულ გზებზე.
საყანე ფართობებთან დაკავშირებით განმარტა, რომ შეხვდა ჯურუყვეთის, ლესის და ჩიბათის ადმ. ერთეულებში მერის წარმომადგენლებს კომპანიის ხელმძღვანელებთნ ერთად, ისაუბრეს და შეთანხმდნენ ყველა იმ გამოწვევაზე, რაც ჰქონდათ მოსახლეობასთან მიმართებაში.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით აუცილებლად მისახედია წყალმომარაგების საკითხი. მისი განცხადებით, ორ სოფელში-აცანასა და მამათში ფაქტიურად არ არსებობს წყალი.

საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილე **გოჩა ჯანაშიას** განცხადებით, საფეხბურთო კლუბ ,,გურიას“-თან დაკავშირებით ესაუბრა მერაბ ჟორდანიას. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, როგორია კლუბის მომავალი და ამ მიმართულებით რა კეთდება მუნიციპალიტეტის მხრიდან. ასევე, რა ეტაპზეა მუნიციპალური ტრანსპორტის საკითხი.

მუნიციპალიტეტის მერმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ საქართველოს ბანკს ესაჭიროება გარკვეული პერიოდი, რათა ავტობუსებში დაამონტაჟოს კამერები და შესაბამისი აპარატურა, რაც შემოაქვს საზღვარგარეთიდან. ამის გათვალისწინებით, მათი მხრიდან არის დაპირება, რომ 10 მაისისთვის ეს პროცესი დასრულდება. შესაბამისად, მოხდება ავტობუსების ხაზზე გაშვება. მაქსიმალური ღირებულება ყველაზე შორი ლოკაციიდან იქნება 2 ლარი, სხვა შემთხვევაში - 1 ლარი. რაც შეეხება ლანჩხუთის ,,გურიას“ საკითხს, ბოლო პერიოდში ამ მხრივ აქტიურად მუშაობენ. მუნიციპალიტეტის მერს და გურიის გუბერნატორს შეხვედრა ჰქონდა საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრთან, მის მოადგილესა და ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებთან. ამის შემდეგ, მინისტრის პირველ მოადგილესთან შეხვედრას უკვე მერაბ ჟორდანიაც ესწრებოდა. მოხდა საკითხების დეტალურად განხილვა, მაგრამ მუნიციპალიტეტის მიერ წამოყენებული პირობის გათვალისწინების გარეშე საბოლოო გადაწყვეტილება ვერ იქნება მიღებული. მონახაზის მიხედვით, კომპანია პასუხისმგებელია გუნდის წარმატებასა და წინსვლაზე, რაც უშუალოდ ჩადებული იქნება ვალდებულებაში. რაც შეეხება ბაზას, სავარაუდოდ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში გადაეცემა უსასყიდლო

ივჯარით, რაზეც გადაწყვეტილებას მიიღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო, მაგრამ ბაზის შეფასების შემდეგ კომპანიამ ერთი წლის განმავლობაში უნდა დახარჯოს ღირებულების მინიმუმ ორმაგი თანხა. ამასთან, ბაზამ მისი სახე უნდა შეინარჩუნოს სპორტული დანიშნულებით. ყოველივე ამაზე, მერაბ ჟორდანიას მხრიდან იყო სრული მზაობა. შესაბამისად, უახლოეს დღეებში მან უნდა წარმოადგინოს პროექტი, თუ რის გაკეთებას აპირებს გუნდთან მიმართებაში. საერთო ჯამში, კლუბის ირგვლივ მიმდინარე პროცესები უდავოდ, წინგადადგმული ნაბიჯია.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძე** დაინტერესდა, უახლოეს პერიოდში ხომ არ აქვთ შეხვედრა წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენლებთან. ასევე, შეეხო შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში სკოლის თემას და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერისთვის ცნობილია საკითხის შესახებ და ჩართულია პროცესში. სიტუაციის გათვალისწინებით საჭიროა დროულად დადგეს გარკვეული შედეგი. ამასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ ყოველდღიურ რეჟიმში ჩართულია სკოლის ირგვლივ მიმდინარე პროცესში. თავის დროზე, საკითხის შესახებ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემაც მიაწოდა ინფორმაცია პარლამენტის თავმჯდომარეს. საუბარია გარკვეულ გამოწვევაზე, მაგრამ მიდის მუშაობა, რომ გამოიძებნოს რაღაც რესურსი, რათა უახლოეს პერიოდში გამოცხადდეს ტენდერი და ორთვიანი მონაკვეთი არ დაიკარგოს. რაც შეეხება წყალმომარაგების საკითხს, ამ მხრივ რა სამუშაოებიც მიმდინარეობს, უნდა მივიდეს ბოლომდე. ეს არის სამი თემის და ერთი სოფლის, ასევე, ქალაქის წყალმომარაგების რეაბილიტაცია. სამუშაოები უნდა დაიწყოს უახლოეს პერიოდში. რაც შეეხება გზისპირა სოფლებს, დებეტიდან გამომდინარე, ჯერ-ჯერობით რაიმეზე საუბარი არაა. გარანტირებული პასუხი არის მხოლოდ მაჩხვარეთთან მიმართებაში, რადგან იგი მიბმულია ქალაქზე, ხოლო დებეტი იმაზე ბევრად მეტი აღმოჩნდა, რაც ქალაქის სრულად დასაკმაყოფილებლადაა საჭირო. გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, თუ რა რაოდენობის წყლის მარაგი ამოვა, პირველ რიგში, საუბარია შუხუთსა და გვიმბალაურზე.

საკრებულოს წევრი **კახა თედორაძე** დაინტერესდა, რა სიტუაციაა სოფელ ორმეთში, წყალმომარაგებასთან მიმართებაში, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ ქალაქის წყლის რესურსი საკმარისია ორმეთისთვის. კომპანია ითვლის საჭირო თანხას. ფაქტობრივად, აქ დარჩენილია 80 ოჯახი, საიდანაც გარკვეული ნაწილი ექვემდებარება გასახლებას. ასევე, უკვე გაკეთებულ აუზში უახლოესი წერტილიდან შეიძლება გადაყვანა, რაზეც უარს ამბობდა ეს კომპანია. ამის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა გაერთიანებული წყალმომარაგების ხელმძღვანელობას, რომელთაც განაცხადეს, რომ თუ ეს კომპანია ასე აჭიანურებს, მაშინ თვითონ აიღებდნენ პასუხისმგებლობას.
საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ, **ნინო მშვიდობაძემ** აღნიშნა, რომ ბოლო დროს ძალიან მომრავლდა ფაროსანა. ის დაინტერესდა, როგორი იქნება შეწამვლის საკითხი. მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, როგორც მისთვისაა ცნობილი, ჯგუფები უკვე შეკრიბეს და სავარაუდოდ, დაიწყება შეწამვლის პროცესი. ასევე, მიმდინარეობს ფერომენების განთავსება.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

26 აპრილი **2024** წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11 ⁵⁵	
2	ემზარ თევდორაძე	11 ⁵⁵	
3	ვერიკო კვირკველია	11 ⁴⁵	
4	გიორგი ჩახვაძე	11 ³⁵	
5	გიორგი ხელაძე	11 ⁵⁵	
6	ალექსანდრე მახათაძე	შვებულებაში	
7	ზაზა წულაძე	11 ⁵⁵	
8	კარლო კვიტაიშვილი	11 ⁵⁵	
9	გიორგი იმნაიშვილი	11 ⁴⁵	
10	ია მოქია	11:55	
11	კახაბერ ასკურავა	11 ³⁵	
12	მაკა მშვიდობაძე	11 ³⁵	
13	ვლადიმერ ნანაძე	11 ³⁵	
14	კარლო წილოსანი	შვებულებაში	
15	ლოლიტა ურუშაძე	11 ⁵⁵	
16	ნინო მშვიდობაძე	11:58	
17	გოგი მორჩილაძე	11 ⁴⁵	
18	სპარტაკ კვაჭაძე	11-57	
19	გიორგი გოგუაძე	11. 45.	
20	გოჩა ჯანაშია	11 ⁵⁵	
21	ელისო ჭიჭინაძე	11 ⁰⁰ 11 ⁴⁵	
22	რევაზ კვერენჩხილაძე	11 45	
23	კახა თედორაძე	11 ⁵⁵	

24	დარეჯან ბურჭულაძე	11 35	
25	ირმა მგელაძე	11 40	
26	გივი ცინცაძე	11 35	
27	ჯუმბერ ბლაგიძე	11 45	